**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე**

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ს. პ.

**წარმომადგენელი:** ა. პ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 30.03.2021

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 019/21

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი №4754/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ვ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 30 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. პ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 15 დეკემბერს ახლობლის რეკომენდაციით მიმართა ადვოკატ ვ. მ.-ს. ს. პ.-ს ადვოკატთან ურთიერთობა ჰქონდა

მისი ძმისშვილის და წარმომადგენელის - ა. პ.-ს მეშვეობით. ა. პ. ს. პ.-თან ერთად მივიდა ვ. მ.-ის ოფისში და აუხსნა საქმის დეტალები. კერძოდ, ს. პ.-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით და არსებობდა მისი დაკარგვის საფრთხე. საჩივრის ავტორს სურდა იპოთეკარ მ. თ.-სთან მორიგება, რაშიც ადვოკატი დაჰპირდა დახმარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი მზად იყო მიემართა პროკურატურისთვის და სასამართლოსთვის. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს უნდა შეეჩერებინა აღსრულების პროცედურა ქონებაზე ყადაღის დადების გზით, რის შემდეგაც არ მოხდებოდა უძრავი ქონების რეალიზაცია.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ.-მ ზემოთ აღნიშნული მოქმედების განხორციელებისათვის ჰონორარის სახით მოითხოვა 3000 ლარის გადახდა, საიდანაც ს. პ.-ს 1000 ლარი უნდა გადაეხადა მომსახურების დაწყებამდე, ხოლო 2000 ლარი საქმის დასრულების შემდეგ. ჰონორარის გადახდის გარეშე ადვოკატმა უარი განაცხადა მომსახურების დაწყებაზე, რის გამოც საჩივრის ავტორმა ახლობლისგან ს. პ.-სგან სესხის სახით აიღო 1000 ლარი და 2019 წლის 16 დეკემბერს ადვოკატს პირად საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა. ს. პ.-მა ადვოკატ ვ. მ.-ის თხოვნით შეადგინა მინდობილობა ვ. მ.-ისა და მისი თანამშრომლის - ადვოკატ ე. ჩ.-ს სახელზე, რადგან ე. ჩ. საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებოდა სამოქალაქო დავაში.

1.4 ადვოკატმა ვ. მ. ა. პ.-ს სთხოვა იპოთეკარ მ.თ-თან შეხვედრა, თუმცა ა. პ.-მა მ. თ ვერ ნახა. საჩივრის ავტორი მ. თ.-ს ტელეფონით დაუკავშირდა და სთხოვა ადვოკატის ოფისში მისვლა, რის შემდეგაც ადვოკატ ვ. მ.-სა და მ. თ-ს შორის შედგა შეხვედრა. ადვოკატის განმარტებით, შეხვედრის დროს მ. თ.-მა პირობა დადო, რომ თვის ბოლომდე გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დაუბრუნებდა ს. პ.-ს საცხოვრებელ სახლს. ადვოკატმა აღნიშნულზე რაიმე სახის ხელწერილი არ შეადგენინა მ. თ.-ს, რომელმაც არ შეასრულა შეთანხმებული პირობით ნაკისრი ვალდებულება.

1.5 ა. პ. ხშირად ურეკავდა ადვოკატ ვ. მ.-ს და მიდიოდა მასთან ოფისში საქმის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, თუმცა, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და ამშვიდებდა, რომ იპოთეკარი მ. თ. შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. ადვოკატმა არ განახორციელა რაიმე სახის მოქმედება, რის გამოც მოხდა საჩივრის ავტორის საცხოვრებელი სახლის რეალიზაცია. 2021 წლის თებერვალში უძრავი ქონება აუქციონის წესით შეიძინა ს. ს.-მა. აღნიშნული ფაქტი ს. პ.-სთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც უძრავი ქონების ახალმა შემძენმა მიმართა საცხოვრებელი სახლის დაცლის მოთხოვნით. ა. პ.-მა ლ. ვ.-თან ერთად მიმართა ადვოკატს და სთხოვა აეხსნა რატომ არ იმოქმედა მის სასარგებლოდ. ადვოკატმა მხოლოდ მაშინ დაიწყო ორდერის გამოწერა, თუმცა ლ. ვ.-მა უთხრა, რომ ორდერის გამოწერა უკვე გვიანი იყო და მას მანამდე უნდა განეხორციელებინა იურიდიული მოქმედებები. ა. პ.-მა ადვოკატს მოსთხოვა თანხის დაბრუნება, რაზედაც ადვოკატისგან უარი მიიღო. ა. პ.-მა და ლ. ვ.-მა ადვოკატს უთხრეს, რომ შეიტანდნენ საჩივარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, თუმცა ადვოკატმა დამცინავად უპასუხა: „თქვენ რა უნდა მიქნათო“.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს უმოქმედობით დაკარგა ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, რის გამოც მოითხოვს ადვოკატ ვ. მ.-ისთვის დისციპლინური

პასუხისმგებლობის დაკისრებას  და მომსახურებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნებას.

1.7 საჩივრის ავტორმა საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

**2. მოწმე ს. პ.-ს განმარტება:**

2.1 მოწმე ს. პ.- არის საჩივრის ავტორის - ახლობელი. ის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოიკითხა 2021 წლის 27 მაისს.

2.2 მოწმის განმარტებით, ა. პ. დაუკავშირდა მას და სთხოვა მისთვის სესხის სახით 1000 ლარის გადაცემა, რადგან ს. პ.-ს საქმეზე უნდა აეყვანათ ადვოკატი, რომლისთვისაც საჭირო იყო ჰონორარის სახით 1000 ლარის გადახდა. ლ. ვ-მა ა. პ.-ს მეორე დღეს გადასცა თანხა.

2.3 მოწმე ხშირად დაჰყვებოდა ა. პ.-ს ადვოკატთან ვიზიტის დროს, რადგან ს. პ.-ს უჭირდა გადაადგილება და ა. პ. მას სთხოვდა ვ. მ.-სთან გაყოლას. ადვოკატი ა. პ.-ს ყველა ვიზიტზე ეუბნებოდა, რომ საქმეს მოაგვარებდა, თუმცა ამისთვის საჭირო იყო დრო.

2.4 მოწმის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, 2020 წელს პანდემიის დაწყების პერიოდში დაუკავშირდა ა. პ. და უთხრა, რომ მასთან მივიდა უცნობი პიროვნება, რომელმაც უთხრა, რომ ს. პ.-ს საცხოვრებელი ბინა შეიძინა აუქციონზე. ს. პ.-ის გაჰყვა ა. პ.-ს ადვოკატთან და  მოსთხოვეს განმარტება, თუ რატომ მოხდა ამ სახლის რეალიზაცია. ადვოკატმა უთხრა, რომ ის მზად იყო ჰონორარის სახით მიღებული თანხა დაებრუნებინა, ხოლო სახლის საკითხს ადვოკატი ე. ჩ. მოაგვარებდა. ლ. ვ-მა მიმართა ადვოკატს, რომ ის იყო დაქირავებული ადვოკატი და სწორედ მას უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედებები, მისი უმოქმედობის გამო კი საჩივრის ავტორი მიმართავდა შესაბამის ღონისძიებებს.

**3. მოწმე ნ. ღ.-ს განმარტება:**

3.1 მოწმე ნ. ღ. არის საჩივრის ავტორის ოჯახის ახლოებელი, ასევე მისი ახლობელია ადვოკატი ვ. მ.. მოწმე საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოიკითხა 2021 წლის 27 მაისს.

3.2 მოწმის განმარტებით, 2019 წლის ნოემბერში მას დაუკავშირდა ა. პ. და სთხოვა ადვოკატის მოძიება, რომელიც დაეხმარებოდა მისი სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაში. ნ. ღ.-მ მას ურჩია ადვოკატი ვ. მ.. მოწმე დაუკავშირდა ადვოკატ ვ. მ.-ს და სთხოვა დახმარებოდა ს. პ.-ს, ასევე უთხრა, რომ საქმე ეხებოდა სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს და მიემართა პროკურატურისთვის. ნ. ღ.-მ აუხსნა ადვოკატს, რომ ს. პ.-ს არ ჰქონდა ფინანსურად კარგი მდგომარეობა, ის იყო სოციალურად დაუცველი და ჰონორარზე  შეთანხმების დროს გაეთვალისწინებინა ეს ფაქტი. ადვოკატი დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა საჩივრის ავტორს.  ამის შემდეგ, ნ. ღ. იმყოფებოდა საზღვარგარეთ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი შეიტყო, რომ ს. პ.-მა მას გაუფორმა მინდობილობა და ჰონორარის სახით გადასცა 1000 ლარი. მოწმეს გაუკვირდა ადვოკატის მხრიდან ამ თანხის აღება და ჰკითხა ა. პ.-ს, თუ როგორ მოახერხეს 1000 ლარის გადახდა. ა. პ.-მა მას განუმარტა, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, ადვოკატმა მოსთხოვა ამ თანხის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიწყებდა ს.

პ.-ს საქმეზე სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებას და ა. პ.-მა ეს თანხა მისი ახლობლისგან ისესხა. ნ. ღ.-მ ასევე მოიკითხა ვ. მ.-სთან ს. პ.-ს საქმე, რაზედაც ადვოკატმა განუმარტა, რომ ყველა საჭირო მოქმედებას განახორციელებდა, ამის შემდეგ, მას კვლავ მოუწია ქვეყნის დატოვება.

**4. მოწმე ე. ჩ.-ს განმარტება:**

4.1 2021 წლის 27 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოიკითხა მოწმე - ე. ჩ., რომელიც არის პროფესიით ადვოკატი. ე. ჩ.-ს განმარტებით, ის და ადვოკატი ვ. მ. 16 წელია ერთად მუშაობენ და ოჯახებით ახლოს არიან. მათი საერთო მეგობარი არის ნ.ღ, რომელიც იმყოფებოდა ჰოლანდიაში. მისი ინფორმაციით, სწორედ ნ დაუკავშირდა მას და სთხოვა მისი ახლობლებისთვის სისხლის სამართლის კუთხით იურიდიული მომსახურების გაწევა. ე. ჩ.-მ უთხრა მას, რომ არ მუშაობდა სისხლის სამართლის კუთხით და ამ საკითხზე ადვოკატ ვ. მ.-ისთვის მიემართა. ნ.ღ ასევე დაუკავშირდა ვ. მ.-ს. 2019 წლის 15 დეკემბერს საადვოკატო ოფისში მივიდნენ ა. პ. და მისი ბიძა ს. პ. ადვოკატი ვ. მ. ჯერ არ იყო ოფისში მისული და ე. ჩ.-მ მათ შესთავაზა დალოდება ოფისის შესასვლელში. ვ. მ. რამდენიმე წუთში მივიდა ოფისში და პ-ები შეიყვანა მის სამუშაო ოთახში. ე. ჩ. მუდმივად არ ესწრებოდა მათ საუბარს, ხშირად უწევდა ოთახიდან გასვლა.

4.2 ადვოკატ ვ. მ.-სთან საუბრის დროს პ-ებმა მას უთხრეს, რომ მათი უძრავი ქონებები რამდენჯერმე იყო იპოთეკით დატვირთული, მათ ერთი სახლი დაკარგეს და არსებობდა მეორე ქონების დაკარგვის საშიშროება. ადვოკატმა ვ. მ. აუხსნა მათ, რომ ეს იყო სისხლის სამართლის საქმე, ის დაწერდა საჩივარს და მიმართავდა პროკურატურას. ადვოკატმა ვ. მ. შესთავაზა ე. ჩ.-ს, რომ საჩივრის ავტორი მინდობილობას მის სახელზეც შეადგენდა, რადგან თუ სამოქალაქო წესით გახდებოდა საჭირო დავის დაწყება, ისიც დახმარებოდა. ე. ჩ. ამაზე დათანხმდა.

4.3 ე. ჩ.-ს განმარტებით, ის არ იყო ჩართული ს. პ.-ს საქმის წარმოებაში. შესაბამისად, მისგან ჰონორარი არ მიუღია. ე. ჩ. მხოლოდ ერთხელ გაჰყვა ა. პ.-ს მ. თ-ის მოსაძებნად, რომელიც შემდეგ მიიყვანეს ადვოკატ ვ. მ.-ის ოფისში. ადვოკატ ვ. მ.-ს ჰქონდა აღებული ვალდებულება მიემართა საგამოძიებო ორგანოებისთვის, იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის კუთხით საქმე არ გამოვიდოდა ამის შემდეგ უნდა მიემართა სამოქალაქო წესით სასამართლოსთვის. როგორც ე. ჩ., ასევე ვ. მ.-ის კლიენტები ვარაუდობდნენ, რომ ადვოკატი ამ მოქმედებებს ასრულებდა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას არ დაუცავს ს. პ.-ს ინტერესები.

4.4 მოწმის განმარტებით, მას ვ. მ.-ისგან ჰქონდა მიღებული ინფორმაცია, რომ ს. პ.-ს საქმის წარმოებისთვის 500 ლარი მიიღო, თუმცა მოგვიანებით ა. პ.-მა აჩვენა ე. ჩ.-ს ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი, სადაც მათ ადვოკატისთვის 1000 ლარი ჰქონდა გადარიცხული. ე. ჩ.-ს ვ. მ.-ისგან არ მიუღია თანხა.

4.5 მოწმის განმარტებით, 2020 წლის თებერვალი იქნებოდა, როდესაც ა. პ. მივიდა ადვოკატ ვ. მ.-ის საადვოკატო ოფისში ატირებული და უთხრა ე. ჩ.-ს, რომ მათი სახლის რეალიზაცია მოხდა. ამ დროისთვის ე. ჩ. აღარ მუშაობდა ვ. მ.-ის ოთახში, მას ჰქონდა ცალკე ოთახი, ვ. მ.-ის ოთახის გვერდით. ადვოკატმა ვ. მ. მხოლოდ მაშინ გამოწერა ორდერი და დაწერა განცხადება. როდესაც ა. პ. წავიდა ადვოკატის ოფისიდან ე. ჩ.-მ

უთხრა ვ. მ.-ს, რომ ეს ყველაფერი მას უფრო ადრე უნდა გაეკეთებინა. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ.-მ სთხოვა მას, რომ დახმარებოდა და ეთქვა, თითქოს პ-ები ე. ჩ.ს კლიენტები იყვნენ; ხოლო თანხის ვ. მ.-ის ანგარიშზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით სთხოვა განემარტა, რომ თანხა იმიტომ ჩაურიცხეს ვ. მ.-ს, რომ თითქოს ე. ჩ. იყო სოციალურად დაუცველი და არ სურდა მის ანგარიშზე თანხის დაფიქსირება. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ. სთხოვა ამგვარი ჩვენების მიცემა, რადგან ადვოკატთა ასოციაციაში ცუდად ჰქონდა საქმე და შესაძლოა ვ. მ. გაერიცხათ ადვოკატთა ასოციაციიდან. ე. ჩ. ამაზე არ დათანხმდა ადვოკატ ვ. მ.-ს.

**5. ადვოკატის პოზიცია:**

5.1 ადვოკატ ვ. მ.-ის განმარტებით, მასთან ოფისში მივიდნენ ა. პ. და ს. პ. და იკითხეს ადვოკატი ე. ჩ., რომელსაც ადვოკატ ვ. მ.-სთან ერთად ჰქონდა სამუშაო ოფისი. ე. ჩ. მათ გაეცნო და სთხოვა აეხსნათ თუ რა საქმეზე იყვნენ მისულები. ძირითად საუბრობდა ა. პ., რომელმაც განმარტა, რომ მოატყუა მ. თ-მა ის და მისი ბიძა ს. პ., ჯერ ავლაბარში გააყიდინა საკუთარი სახლი და მიითვისა თანხა, შემდეგ კი სოფელ მარტყოფში მდებარე სახლი გადააფორმებინა სხვა პიროვნების სახელზე. ე. ჩ.-ს უცნაურად მოეჩვენა მათი მონათხრობი, ადვოკატი ვ. მ. კი ამ დროს იჯდა საკუთარ სამუშაო მაგიდასთან და მუშაობდა, თუმცა ესმოდა პ-ების საუბარი. ე. ჩ-მ მათ შეკითხვები დაუსვა და აღმოჩნდა, რომ პ-ებსა და მ. თ-ს შორის არ არსებობდა რაიმე სახის წერილობითი შეთანხმება. ე. ჩ.-მ შესთავაზა პ-ებს, თუ როგორ მოეპოვებინათ მტკიცებულება, რათა საქმე სამოქალაქო წესით დაეწყოთ. ა. პ.-მა და ს. პ.-მა მოიწონეს ე. ჩ.-ს გეგმა, ვ. მ. კი ოთახიდან გავიდა, რადგან მიხვდა, რომ მათ შორის უნდა მომხდარიყო ჰონორარზე შეთანხმება. ოფისში დაბრუნების შემდეგ მხარეები უკვე შეთანხმებული იყვნენ ჰონორარზე.

5.2 ადვოკატის განმარტებით, ს. პ.-ს საქმეზე ადვოკატმა ე. ჩ.-მ სთხოვა დახმარება, რომ გამოეწერა ორდერი და პოლიციისთვის მიემართა, რადგან თავად არ მუშაობდა სისხლის სამართლის საქმეებზე. ადვოკატი ვ. მ. დათანხმდა ე. ჩ.-ს, რომ დაეხმარებოდა. საჩივრის დასაწერად მონახაზი იმავე დღეს შეადგინა და სთხოვა ე. ჩ.-ს, რომ პ-ები ორი დღის შემდეგ მოსულიყვნენ, რომ საჩივარი უფრო მეტად დაეხვეწა, ასევე მისცა საბანკო ანგარიშის ნომერი.

5.3 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 07 აპრილის სხდომაზე ვ. მ. განმარტა, რომ პ-ებმა 2019 წლის 16 დეკემბერს მასსა და ე. ჩ.-ს სანოტარო წესით გაუფორმეს მინდობილობა. ე. ჩ. და ვ. პ ერთად მუშაობდნენ სამართლებრივ საკითხებზე და დროის მოგების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებდნენ საქმისაწრმოებას.

5.4 ადვოკატის განმარტებით, ა და ს პ-ებმა უთხრეს, რომ მ. თ ორი წელია არ უნახავთ. ადვოკატი დაჰპირდა, რომ მას იპოვნიდა და მოლაპარაკებების მიზნით შეახვედრებდა. ორი დღის შემდეგ ადვოკატმა ვ. მ.მ  მ. თ. შეახვედრა პ-ებს მის ოფისში. ადვოკატმა უთხრა მ. თ-ს, რომ თუ პ-ების მოთხოვნებს არ შეასრულებდა მიმართავდა პოლიციას, თუმცა მან პირობა დადო, რომ ყველაფერს მოაგვარებდა. ადვოკატმა ა. პ.-ს უთხრა, რომ შეთანხმება, რომელიც მათ შორის შედგა სანოტარო წესით დაემოწმებინა, რაც არ შეასრულა, რადგან დაიჯერა მ. თ-ის დაპირება. მას შემდეგ, რაც მ. თ-მა არ შეასრულა პირობა, ადვოკატმა ვ. მ. რამდენჯერმე სთხოვა ე. ჩ.-ს, რომ დაკავშირებოდა პ-ებს, რადგან საჩივარი მზად იყო და მიემართათ პოლიციისთვის. ასევე შესთავაზა, რომ

საჩივარი და ორდერი წაეღო ს. პ.-თან, რადგან მას ენახა და მასთან შეთანხმებით მომხდარიყო საჩივრის შეტანა პოლიციის განყოფილებაში. თუმცა, პ-ებმა არ მიმართეს პოლიციას, ადვოკატმა კი მათი ნების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედა. ადვოკატი განმარტავს, რომ მან არაერთხელ სთხოვა პ-ებს მიემართათ პოლიციისათვის და ა. პ.-ს ს. პ.-სათვის გადასაცემად რამდენჯერმე გაატანა საჩივრის პროექტი, ვინაიდან ვერ მიიღო თანხმობა პოლიციაში საჩივრის დამოუკიდებლად შეტანის თაობაზე და ს. პ.-მა განუმარტა, რომ მოეცადათ.

5.5 2020 წელს ადვოკატი ე. ჩ. გადავიდა სხვა ოფისში სამუშაოდ და როდესაც ა. პ. მოვიდა მის სანახავად, ადვოკატმა ვ. მ. აუხსნა თუ სად იყო ე. ჩ.-ს სამუშაო ოფისი. ა. პ. რამდენჯერმე იყო მისული ადვოკატი ვ. მ.-სთან და სთხოვდა დახმარებოდა ე. ჩ.-სთან დაკავშირებაში. ადვოკატი გადასცემდა ე. ჩ.-ს ინფორმაციას, თუმცა ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ პ-ების ზარი მასთან არასდროს შესულა.

5.6 2021 წლის 03 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მაშინ, როდესაც ა. პ.-მა მოსთხოვა ჰონორარის დაბრუნება, მას გაუკვირდა, რადგან არ ახსოვდა პ-სგან 1000 ლარის ჩარიცხვის ფაქტი. როგორც შემდგომ გაარკვია, საჩივრის ავტორს ე. ჩ.-სთვის უნდა გადაერიცხათ ეს თანხა, მაგრამ რადგან ე. ჩ. იყო სოციალურად დაუცველი, მან სთხოვა ა. პ.-ს, რომ ეს თანხა ადვოკატ ვ. მ.-ის ანგარიშზე ჩაერიცხა. ადვოკატმა ს. პ.-ს მხრიდან გადაცემული 1000 ლარიდან 500 ლარი გადასცა ადვოკატ ე. ჩ.-ს, რაც საჩივრის ავტორისთვისაც ცნობილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მოსთხოვდა ე. ჩ.-ს დახმარებას და მ. თ-ის მოსაძებნად გაყოლას. ადვოკატმა ვ. მ. კი 500 ლარი მიიღო მხოლოდ კონსულტაციისთვის, ასევე შეადგინა საჩივარი და გამოწერა ორდერი.

5.7 ადვოკატის განმარტებით, საქმის გაჭიანურება თავად ა. პ.-ს მიზეზით მოხდა, რადგან მას არ სურდა მარიამ თედიაშვილის მიმართ პოლიციისთვის განცხადებით მიმართვა. პ.ოლიციაში მ. თ-ის აღიარების შემთხვევაში მათ ექნებოდათ მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც ე. ჩ. შეძლებდა სამოქალაქო დავის დაწყებას, რაც არ მოხდა.

5.8 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მან შეისწავლა საქმე, დასახა სამოქმედო სტრატეგია და რამდენიმე განცხადება შეადგინა, როგორც ს. პ.-ს წარმომადგენელმა, რომლებიც ს. პ.-სათვის გადასაცემად გაატანა მასთან ოფისში მისულ ა. პ.-ს. ადვოკატის განცხადებით, ს. პ.-ს არ სურდა ადვოკატს დამოუკიდებლად, მის გარეშე მიემართა პოლიციისათვის და ადვოკატიც ელოდებოდა კლიენტის მითითებებს.

5.9 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ის და ს. პ. ერთად უნდა მისულიყვნენ პოლიციის განყოფილებაში, თუმცა კლიენტი მოურიგდა მ. თ-ს და ადვოკატის რჩევის მიუხედავად არც ნოტარიულად დაამოწმა მ.თ-თან ზეპირი ფორმით დადებული შეთანხმება და არც პოლიციის განყოფილებაში მივიდა განცხადების დასაწერად.

5.10 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომა ადვოკატმა ვ. მ. აღნიშნა, რომ ის ხშირად უკავშირდებოდა ა. პ.-ს და ინტერესდებოდა რატომ არ მიმართავდნენ პ-ები სამართალდამცავ ორგანოს, რის პასუხადაც ა. პ.-სგან ისმენდა, რომ ს. პ.-მა გადაიფიქრა პოლიციაში განცხადების შეტანა.

5.11 ადვოკატის განმარტებით, პ-ები ე. თ-სთან მოლაპარაკებას მის გარეშეც აწარმოებდნენ.

5.12 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. მ. აღიარა, რომ მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა კლიენტის მიმართ და კლიენტთან კომუნიკაციისას ჰქონდა გარკვეული გადაცდომები. ადვოკატმა სინანული გამოთქვა და განმარტა, რომ პ-ების საქმესთან დაკავშირებით მეტის გაკეთება შეეძლო.

**6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

6.1 2021 წლის 13 ივნისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. მ. არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ წარადგინდა განცხადება სამართალდამცავ ორგანოში; არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე; ეთიკის კომისიას მიაწოდა წინასწარი შეცნობით არასწორი ინფორმაცია და არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2. მუხლების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6, 8.15, 9.3, 9.4 მუხლები.

6.3 საპროცესო ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც შეძლებდა იმ ფაქტის დადასტურებას, რომ ბოლომდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება - განცხადებით მიმართა სამართალდამცავ ორგანოს; კლიენტს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობაზე; ეთიკის კომისიას მიაწოდა სწორი ინფორმაცია ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე. ადვოკატს საპროცესო კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საადვოკატო მომსახურების პროპორციული ჰონორარის მიღების ფაქტს.

## II სამოტივაციო ნაწილი

**7. საქმის ფაქტები:**

7.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

7.1.1 ადვოკატ ვ. მ.-სა და ს. პ.-ს შორის, 2019 წელს დაიდო ზეპირი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ ვ. მ.-ს ს. პ.-ს ინტერესები უნდა წარმოედგინა სისხლის სამართლის საქმეში და მხარეებს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება;

7.1.2 ს. პ.-მა ადვოკატ ვ. მ.-ს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1000 ლარი.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2019 წლის 16 დეკემბრის თანხის გადახდის ქვითარი.

7.1.3 ს. პ.-მა 2020 წლის 12 დეკემბერს ადვოკატ ვ. მ.-სა და ე. ჩ.-ს გაუფორმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც რწმუნებულებს მარწმუნებლის ინტერესები უნდა წარმოედგინათ ყველა ინსტანციის სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება;

მხარეთა შორის, 2020 წლის 12 დეკემბერს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა.

7.1.4 ს. პ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატმა ვ. მ. 2021 წლის 17 მარტს ამოწერა ორდერი N0/187, რომლის მიხედვითაც, კლიენტის ინტერესები უნდა დაეცვა გამოძიებასა და ყველა ინსტანციის სასამართლოში.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2020 წლის 17 მარტის ორდერი N0/187

7.1.5ადვოკატმა ვ. მ., კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, შეადგინა საჩივარი, თუმცა საჩივარი ადვოკატს საჩივარი არ წარუდგენია სამართალდამცავ ორგანოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

7.2 სადავო ფაქტები:

7.2.1 ადვოკატ ვ. მ.-ს ს. პ.-ს ინტერესები უნდა წარმოედგინა სამოქალაქო დავაში.

- ადვოკატ ვ. მ.-ის განცხადებით, საქმე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით უნდა ეწარმოებინა იურისტ ე. ჩ.-ს, რასაც უარყოფს საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ა. პ..

7.2.2 ადვოკატ ვ. მ.-ს საჩივარი უნდა წარედგინა შსს ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს დეპარტამენტში.

- ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ნებისა და მითითების შესაბამისად, მასსა და ს. პ.-ს პოლიციაში განცხადება ერთად უნდა წარედგინათ, რასაც უარყოფს ს. პ.-ს წარმომადგენელი - ა. პ. და განმარტავს, რომ ადვოკატს განცხადება სამართალდამცავ ორგანოში დამოუკიდებლად უნდა წარედგინა.

7.2.3 ადვოკატი ვ. მ. არასწორ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს საქმის მსვლელობაზე.

- ადვოკატმა განუმარტა კლიენტს საჩივრის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები და მიაწოდა ინფორმაცია საქმის მსვლელობაზე, რასაც უარყოფს საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ა. პ..

## 8. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 9. სამართლებრივი შეფასება:

9.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ვ. მ. დაარღვია კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები.

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი 8.5 მუხლი).

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

9.2 „ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 084/18, პარ. 6.2).

9.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი თავად განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.

9.4 „ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს კლიენტის სახელით ყველა იმ მოქმედებების განხორციელებას, რაც საჭირო და აუცილებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად. აღიშნული მოქმედებების განხორციელებისას ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და გამოცდილება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი“ (2019 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე 106/19, პარ. 5.3).

9.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. საპროცესო კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციას (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“

9.6 „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).

9.7 საქმეში წარმოდგენილია მხარეთა ურთიერთგანსხვავებული ახსნა-განმარტება, მათ შორის ფაქტზე - წარმოადგენდა თუ არა ვ. მ. ს. პ.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავაში. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ვ. მ. ვალდებული იყო მისი ინტერესები წარმოედგინა სამოქალაქო დავაში, გამოსახლების საქმეზე, რასსაც უარყოფს ადვოკატი და განმარტავს, რომ აღნიშნული ევალებოდა იურისტ ე. ჩ.-ს და ის პასუხისმგებელი იყო საქმის სისხლის სამართლის მიმართულებით წარმოებაზე. საქმეში წარმოდგენილია ვ. მ.-ისა და ე. ჩ.-ს სახელზე გაფორმებული მინდობილობა, სადაც მითითებულია, რომ რწმუნებულებს ჰქონდათ უფლებამოსილება მარწმუნებლის ინტერესები წარმოედგინათ ყველა ინსტანციის სასამართლოსა და სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ საქმისწარმოებისას.

9.8 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ვ. მ.-მ დაადასტურა, რომ მან განმცხადებელს გაუწია კონსულტაცია როგორც სისხლის , ისე სამოქალაქო საქმეზე; საქმეში წარმოდგენილია მინდობილობა; ორდერი და ჰონორარის - 1000 ლარის ადვოკატისათვის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

9.9 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ვ. მ.-მ დაადასტურა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვის მიზნით მან შეადგინა საჩივარი, თუმცა აღნიშნული საჩივრით ადვოკატს არ მიუმართავს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის. ადვოკატის მხრიდან გარკვეული სამართლებრივი მოქმედებები განხორციელდა მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორის მფლობელობაში არსებული სახლი

გაიყიდა, რაც დასტურდება 2021 წლის მარტით დათარიღებული, ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს სახელზე შედგენილი საჩივრითა და 2021 წლის 17 მარტს გამოწერილი ორდერით. ადვოკატმა დაადასტურა ფაქტი, რომ მინდობილობის მის სახელზე გაცემის მიუხედავად, მას არც სასამართლოსთვის და არც აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიუმართავს. ადვოკატის განმარტებით, ის ჩართული იყო მხარეთა მორიგების პროცესში და პ-ები შეახვედრა მარიამ თედიაშვილს. განხილვის კოლეგიის შეფასებით, აღნიშნული ვერ ჩაითვლება კლიენტის სასარგებლო მოქმედებად და კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად. ადვოკატ ვ. მ.-ის უმოქმედების შედეგად, გაუარესდა პ-ების სამართლებრივი მდგომარეობა.

9.10 მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატი ვ. მ. არ აწვდიდა/ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს საქმის მსვლელობაზე. კლიენტმა, ქონების აუქციონზე რეალიზაციის შემდეგ, ბინის ახალი მესაკუთრის მიერ სახლის დაცლის მოთხოვნისას შეიტყო, რომ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აუქციონზე გაიყიდა. ამასთან, ს. პ. არ იყო ინფორმირებული ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების შესახებ. ადვოკატი ვ. მ. ვალდებული იყო ამომწურავი და სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა კლიენტებისთვის. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა ავალდებულებს გულისხმიერად მოეკიდოს საქმისწარმოებას, მით უფრო უნდა გააცნობიეროს ის გარემოება, თუ კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა ან/და მცდარი ინფორმაციის მიწოდება რა ზიანის მომტანი იქნება კლიენტის ინტერესებისთვის.

9.11 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა ადვოკატთა შესახებ კანონის 5(ა) და 6.2 მუხლებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.6 მუხლების დარღვევაში.

9.12 განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ვ. მ.-მ დაარღვია სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი. ადვოკატმა ვ. მ.-მ ეთიკის 2022 წლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მიღებული ჰონორარის 1000 ლარის ნახევარი გადასცა იურისტ ე. ჩ.-ს, თუმცა მას კომისიისათვის არ წარმოუდგენია აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. განხილვის კოლეგიის მიერ საქმის გამოკვლევისას არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მ განზრახ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია ეთიკის კომისიას. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.3 და 9.4 მუხლების დარღვევა.

9.13 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ვ. მ.-მ დაარღვია კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას და გამოუმუშავებელი ჰონორარი“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

9.14 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული

მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

9.15 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს გარკვეული მოქმედებები აქვს განხორციელებული ს. პ.-ს ინტერესების სასარგებლოდ, კერძოდ, ადვოკატი მონაწილეობდა მ. თ-ისა და ს. პ.-ს მორიგების პროცესში, შეისწავლა საქმე, გამოწერა ორდერი; სამართალდამცავი ორგანოსათვის მიმართვის მიზნით მოამზადა საჩივარი; თუმცა მას არ აქვს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შესრულებული, ვინაიდან მხარეებს შორის ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა დასრულდა კლიენტის ინიციატივით და მიუხედავად იმისა, ვისი ინიციატივით დასრულდა მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატს გააჩნია გამოუმუშავებელი თანხის დაბრუნების ვალდებულება, რადგან თანხა ითვალისწინებდა კონკრეტული მომსახურების განხორციელებას, რაც ადვოკატის მიერ არ შესრულდა. ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარი არ დაუბრუნებია.

9.16 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევაში.

9.17 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა აღიარა მის მიერ დისციპლინური გადაცდომების ჩადენა და სინანული გამოთქვა აღნიშნული ფაქტის გამო.

9.18 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

9.19 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

9.20 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

9.21 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც

სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017)

9.22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

9.23 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი. ფაქტს, რომ ადვოკატი ვ. მ. აღიარებს დარღვევას, გამოთქვამს სინანულს ჩადენილი გადაცდომის გამო, განმარტავს, რომ სრულად აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ გადაცდომას და აღნიშნავს, რომ მეტი გულისხმიერებითა და სიფრთხილით განახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, დისციპლინური გადაცდომების თავიდან არიდების მიზნით. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ გარემოებებზე, ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

9.24 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

9.25 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N019/21 ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი N/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნატია ჩიტაშვილი/